


საქმიანობის აღწერა

სს თიბისის ლიზინგი (შემდგომში კომპანია) დაარსდა 2003 წელს თიბისი ბანკის მიერ და დაარსების დღიდან ორიენტირებულია ბაზრის წილის ზრდაზე და კლიენტების მაღალი ხარისხით მომსახურებაზე. კომპანიის ძირითადი ბიზნეს საქმიანობა ფინანსებისა და საოპერაციო ლიზინგის კომპანიებისა და ფიზიკური პირებისთვის მიწოდებაა. კომპანია ფართო სპექტრის სალიზინგო პროდუქციის ყველაზე დიდი მიმწოდებელია 3500-ზე მეტი დიდი, კორპორაციული, მიკრო, მცირე და საშუალო მეწარმეობის და ფიზიკური პირების კლიენტებისთვის მთელს საქართველოში. კომპანიის პროდუქტი მოიცავს ფინანსურ და საოპერაციო ლიზინგს აგრარულ, სამედიცინო, სამშენებლო, მომსახურების, სამრეწველო და საცალო ვაჭრობის სფეროებში. კომპანია, მის პროდუქციას მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა გაყიდვების არხების მეშვეობით, რომლებიც მოიცავს უშუალოდ მშობელ ბანკს, ოფიციალურ წარმომადგენლობებს, მიმწოდებლებს და პირდაპირი გაყიდვების არხებს. კომპანია ლიზინგის სახით გასცემს სხვადასხვა ტიპის აქტივებს, ინდუსტრიული აღჭურვილობიდან და საინფორმაციო ტექნოლოგიებში გამოყენებული აღჭურვილობიდან დაწყებული, ავტომობილებით დამთავრებული, რომლებიც შესყიდულია მომწოდებლებისგან საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ. კომპანია პარტნიორია ისეთი სამთავრობო სააგენტოებისა, როგორებიცაა აწარმოე საქართველოში და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო (APMA), რომლებიც ახდენენ კომპანიების სუბსიდირებას მათი ბიზნესის ზრდის ხელშესაწყობად. კომპანიას მუდმივად ჰყავს 120-ზე მეტი თანამშრომელი და ოპერირებს სათაო ოფისში და სამ საცალო ვაჭრობის ფილიალში.

სს თიბისი ლიზინგი წარმოადგენს აქციებით შეზღუდულ დახურულ სააქციო საზოგადოებას და დაფუძნებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოში საიდენტიფიკაციო ნომრით: 205016560. იურიდიული მისამართია 0160, ჭავჭავაძის გამზირი 76 მ, თბილისი, საქართველო.

ჯგუფის სტრუქტურა 2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შემდეგნაირად გამოიყურება:



კომპანიის 100% იანი წილის მფლობელი არის სს „თიბისი ბანკი“, რომლის 100 % იანი წილის მფლობელია გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული თიბისი ბანკის ჯგუფი.

კომპანიის მენეჯმენტი

კომპანიის მთავარი აღმასრულებელი დირექტორია გაიოზ გოგუა, ის თიბისი ლიზინგის აღმასრულებელი დირექტორის პოზიციას 2017 წლის ნოემბრიდან იკავებს . მის ამჟამინდელ თანამდებობამდე, ის მუშაობდა თიბისი ბანკში, რომელსაც ის შეუერთდა 2001 წელს, როგორც საკრედიტო მენეჯერი. წლების განმავლობაში თიბისი ბანკში ის მუშაობდა სხვადასხვა მმართველობით პოზიციებზე, რეგიონალური დირექტორის, ფილიალის დირექტორის და ფილიალის საკრედიტო განყოფილების უფროსის თანამდებობებზე. ბატონ გოგუას გააჩნია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის და ფიზიკის მაგისტრის ხარისხი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან და ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი ESM დან.

კომპანიის კომერციული დირექტორია ირაკლი ხატიაშვილი , რომელიც თიბისი ლიზინგს შეუერთდა 2018 წელს. წლების განმავლობაში ის მუშაობდა საქართველოს წამყვან ბანკებში საკრედიტო და კომერციულ დეპარტამენტებში მაღალ თანამდებობებზე. ბატონ ხატიაშვილს ბიზნესის ბაკალავრის ხარისხი აქვს გამოყენებად მათემატიკასა და კომპიუტერულ მეცნიერებებში საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.

კომპანიის ფინანსური დირექტორია ნუგზარ ლოლაძე, რომელიც თიბისი ლიზინგს 2014 წელს შეუერთდა როგორც ფინანსური დირექტორი. სანამ თიბისი ლიზინგში დაიწყო მუშაობა, იგი მუშაობდა კომპანიაში Ernst & Young, უფროს აუდიტორად და მოგვიანებით გარიგებების საკონსულტაციო სერვისების ლიდერად. ბატონმა ლოლაძემ დაამთავრა კავკასიის ბიზნეს სკოლა.

გიორგი მაისურაძე კომპანიის რისკების მართვის დირექტორია, ბატონი მაისურაძე შეუერთდა თიბისი ლიზინგს 2018 წლის დასაწყისში როგორც რისკების დირექტორი. მას ნამუშევარი აქვს საქართველოს სხვადასხვა კომერციულ ბანკში, ამასთანავე, მუშაობდა საქართველოს ეროვნულ ბანკში, როგორც უფროსი მენეჯერი/დეპარტამენტის უფროსი. მას აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის და მაგისტრის ხარისხი მაკროეკონომიკაში.

ფინანსური ანგარიშგება

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგის 2020 წლის პირველი 6 თვის არააუდიტირებულ საბალანსო უწყისს, მოგება-ზარალის უწყისს, ფულის მოძრაობის უწყისსა და კაპიტალის მოძრაობის უწყისს.

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
2020 წლის 30 ივნისი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში	2020 წლის 30 ივნისი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	32,612	19,357
ბანკებიდან მისაღები თანხები	10,000	-
გადახდილი ავანსები	2,246	3,552
საგადასახადო აქტივები, წმინდა	2,042	2,974
ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები	25,199	30,779
წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში	269,230	257,031
ძირითადი საშუალებები	7,568	8,253
არამატერიალური აქტივები	1,995	1,725
საინვესტიციო ქონება	2,210	2,210
შეწყვეტილი ლიზინგებიდან დაბრუნებული აქტივები	6,512	6,129
სხვა ფინანსური აქტივები	9,279	10,111
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	1,529	-
სხვა აქტივები	327	197
სულ აქტივები	370,749	342,318
ვალდებულებები		
სესხები ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან	219,766	242,196
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	16,960	18,836
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	58,083	-
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0	734
სუბორდინირებული სესხი	33,138	31,227
სხვა ვალდებულებები	4,004	10,280
სულ ვალდებულებები	331,951	303,273
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	3,659	3,659
დამატებითი შენატანი კაპიტალში	7,550	7,550
გაუნაწილებელი მოგება	28,198	27,674
ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვი	(609)	162
სულ კაპიტალი	38,798	39,045
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	370,749	342,318

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
2020 წლის 30 ივნისი

<i>მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება</i>	1 H 2020	2019
შემოსავალი ფინანსური ლიზინგიდან	24,023	49,174
შემოსავალი საოპერაციო ლიზინგიდან	1,597	3,122
საპროცენტო ხარჯი	(11,897)	(20,680)
ლიზინგის პირდაპირი ხარჯები	(4,454)	(7,701)
წმინდა სალიზინგო შემოსავალი	9,269	23,915
ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის გაუფასურების ანარიცხი	(3,071)	(563)
გაუფასურების ანარიცხის შემდეგ დარჩენილი წმინდა სალიზინგო შემოსავალი	6,198	23,352
სხვა ფინანსურ აქტივებში გაუფასურების ანარიცხი	(1,828)	(4,957)
ზარალი დასაკუთრებული აქტივების გაყიდვა/რელიზინგიდან	(143)	(169)
დაბრუნებული აქტივების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე	-	(163)
ზარალი დაბრუნებული აქტივების თავდაპირველ აღიარებაზე	(71)	437
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,534)	(10,371)
შემოსულობა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა შემოსულობებიდან	4,068	(2,867)
სავალუტო კურსის კონვერტაციის ზარალი შემცირებული შემოსულობებით (შემოსულობები შემცირებული ზარალით)	(4,584)	1,544
სხვა შემოსავალი	1,418	1,269
შემოსულობა/(ზარალი)საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	-	91
მოგება დაბეგვრამდე	524	8,166
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წლის მოგება	524	8,166
სხვა სრული შემოსავალი		
მუხლები, რომლებიც შესაძლებელია რეკლასიფიცირდეს მოგება-ზარალში:		
ზარალი ფულადი ნაკადების ჰეჯირებიდან	(771)	162
სულ წლის სრული შემოსავალი	(247)	8,328

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
2020 წლის 30 ივნისი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	სააქციო კაპიტალი	დამატებითი შენატანი კაპიტალში	ფულადი ნაკადების ჰეჯირების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 1 იანვარს	3,059	2,150	-	19,508	24,717
წლის მოგება	-	-	-	8,166	8,166
სხვა სრული შემოსავალი	-	-	162	-	162
აქციების გამოშვება	600	5,400	-	-	6,000
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბერს	3,659	7,550	162	27,674	39,045
წლის მოგება	-	-	-	524	524
სხვა სრული შემოსავალი	-	-	(771)	-	(771)
აქციების გამოშვება	-	-	-	-	-
ნაშთი 2020 წლის 30 ივნისს	3,659	7,550	(609)	28,198	38,798

ფულადი ნაკადების ანგარიშგება	1 H 2020	2019
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
ფულადი სახსრების მიღება ლიზინგით მოსარგებლეებისგან	63,662	206,675
ფულადი სახსრების მიღება ლიზინგით მოსარგებლეებისგან, ლიზინგის დაწყებამდე	3,420	13,050
ფულადი სახსრების მიღება დაბრუნებული აქტივების რეალიზაციიდან	-	9,549
ფულადი სახსრების მიღება შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან	579	1,431
მიმდინარე ანგარიშებიდან მიღებული პროცენტი	1,048	291
ფინანსური ლიზინგისთვის შეძენილი აქტივებისთვის გადახდილი ფული	(48,962)	(211,274)
ლიზინგის პირდაპირი ხარჯებისთვის გადახდილი ფული	(1,838)	(5,669)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო დანახარჯებისთვის გადახდილი ფული	(1,714)	(3,374)
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(1,820)	(3,465)
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტებისგან ფულადი სახსრების გადინება	12,503	(1,912)
საოპერაციო ლიზინგისთვის შეძენილი აქტივებისთვის გადახდილი ფული	(119)	(605)
ოპერაციებში გამოყენებული ფულადი ნაკადები	26,759	4,697
სუბორდინირებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	(1,445)	(2,683)
ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან აღებულ სესხებზე გადახდილი პროცენტი	(8,175)	(16,821)
გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებზე გადახდილი პროცენტი	(1,812)	(428)
გადახდილი გადასახადები	(4,946)	(10,124)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	10,381	(25,359)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	(44)	(520)
არამატერიალური აქტივების შესყიდვა	(353)	(681)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(397)	(1,201)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ბანკებისგან და ფინანსური ორგანიზაციებისგან მიღებული სესხები	90,114	177,879
შემოსულობები ჩვეულებრივი აქციების გამოშვებიდან	-	6,000
გადაფარული სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან	(134,642)	(147,531)
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა	-	(8,606)
იჯარის ვალდებულებების დაფარვა	(257)	(598)
დეპოზიტებისთვის (ბანკების) გადახდილი ფული	(10,000)	-
მიღებული სუბორდინირებული სესხები	58,400	-
საფინანსო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	3,615	27,144
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებზე და ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე	(344)	134

სააქციო საზოგადოება თიბისი ლიზინგი
2020 წლის 30 ივნისი

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	13,255	718
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	19,357	18,639
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	32,612	19,357

ახსნა განმარტებითი შენიშვნები

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან („ფას“-ები) და საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“ შესაბამისად, ისტორიული ღირებულებების პრინციპების გათვალისწინებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ათასობით ქართულ ლარში.

წმინდა ინვესტიცია ფინანსურ ლიზინგში / ფინანსური შემოსავლის აღიარება. წმინდა ინვესტიციებს ფინანსურ ლიზინგში კომპანია ლიზინგში წმინდა ინვესტიციის ღირებულებით ასახავს. ლიზინგში წმინდა ინვესტიცია გამოიანგარიშება, როგორც ლიზინგის მინიმალური შენატანების ჯამი, რომელიც ლიზინგის მიმღების მიერ გარანტირებული თანხები და სხვა ნებისმიერი არაგარანტირებული ნარჩენი ღირებულება (ლიზინგში მთლიან ინვესტიციასთან ერთად), რომლის დისკონტირებაც ლიზინგში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით ხდება. ლიზინგში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი დისკონტირების ის განაკვეთია, რომელიც ლიზინგის დაწყებისას, ლიზინგში მთლიანი ინვესტიციის მიმდინარე ღირებულებას ლიზინგით შესაძენი აქტივის რეალური ღირებულებას უტოლებს.

განსხვავება ლიზინგში მთლიან ინვესტიციასა და წმინდა ინვესტიციას შორის არის არარეალიზებული ფინანსური შემოსავალი. არარეალიზებული ფინანსური შემოსავლის ამორტიზება ლიზინგის ვადის განმავლობაში ლიზინგის ხელშეკრულებით ნაგულისხმევი დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით ხდება.

ლიზინგის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები წარმოადგენს ლიზინგის აქტივების შესყიდვისთვის განხორციელებულ გადახდებს, რომლებიც აღიარებულია როგორც არაფინანსური აქტივები. საიჯარო ხელშეკრულების დაწყების მომენტში იჯარის ხელშეკრულებებისთვის გადახდილი ავანსები გადადის ფინანსური იჯარის წმინდა ინვესტიციაში.

ლიზინგის დაწყებამდე ლიზინგის მიმღებისგან კომპანიის მიერ მიღებული თანამონაწილეობის თანხა აისახება, როგორც ლიზინგის ვადის დაწყებისას ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციებით დაკორექტირებული კლიენტებისგან მიღებული ავანსები.

საოპერაციო ლიზინგი. როცა კომპანია არის ლიზინგის გამცემი და ლიზინგის ხელშეკრულების შესაბამისად არ ხდება კომპანიის მიერ ლიზინგის მიმღებისათვის ლიზინგის საგნის ფლობასთან დაკავშირებული ყველა სახის რისკისა თუ სარგებლის გადაცემა, იჯარის ქირის გადახდები აღიარებულია, როგორც საიჯარო შემოსავალი, იჯარის ვადის განმავლობაში.

ფინანსური აქტივები – კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება – შეფასების კატეგორიები. კომპანია ფინანსურ აქტივებს აჯგუფებს შემდეგ შეფასების კატეგორიებად: რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით, რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და ამორტიზებული ღირებულებით (FVTPL, FVOCI და AC). სავალო ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება დამოკიდებულია (i) კომპანიის ბიზნეს მოდელზე მართვისთვის და დაკავშირებული აქტივების პროტფელზე და (ii) აქტივის დამახასიათებელ ფულად ნაკადებზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის. კომპანია პერსპექტიულ საფუძველზე აფასებს მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ამორტიზებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, შეფასებული სავალო ინსტრუმენტებისთვის, ისევე როგორც სასესხო ვალდებულებისა და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებიდან წარმოქმნილი რისკისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების რისთვისაც იყენებს 3 ეტაპიან მოდელს და კლასიფიცირებას უკეთებს მის მსესხებლებს ამ სამი ეტაპის მიხედვით: კომპანია კლასიფიცირებას უკეთებს რისკებს პირველ ეტაპში, თუ არ მომხდარა მნიშვნელოვანი საკრედიტო

ხარისხის გაუარესება თავდაპირველი აღიარებიდან და თუ ინსტრუმენტი არ იყო საკრედიტო-გაუფასურებული მაშინ, როდესაც თავდაპირველად აღიარდა. რისკზე დაქვემდებარება კლასიფიცირდება მეორე ეტაპში თუ გამოვლინდა საკრედიტო ხარისხის მნიშვნელოვანი გაუარესება თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაგრამ ფინანსური ინსტრუმენტი არ ითვლება კრედიტ-გაუფასურებულად. ის რისკები, რომლებისთვისაც გამოვლინდა კრედიტ-გაუფასურების ინდიკატორები, კლასიფიცირებულ იქნა მესამე ეტაპის ინსტრუმენტებში. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ოდენობა განსხვავებულია რისკების ერთერთ ეტაპზე განთავსების მიხედვით. პირველი ეტაპის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს მუდმივი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც მიკუთვნებადია საანგარიშო დღის მომდევნო 12 თვის განმავლობაში მომხდარ დეფოლტის მოვლენებზე.

მეორე ეტაპის ინსტრუმენტების შემთხვევაში, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი წარმოადგენს მუდმივ მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ანუ იმ საკრედიტო ზარალს, რომელიც მიკუთვნებადია ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდში შესაძლო დეფოლტის მოვლენებზე. ისეთი ფაქტორები, როგორცაა სახელშეკრულებო ხელახლა გადახდის განრიგების არსებობა, ხელახლა გადახდის დაფარვის ვადების გაზრდის საშუალება და კომპანიის მიერ წარმოებული მონიტორინგის პროცესის გავლენა მუდმივობის განსასაზღვრად. მესამე ეტაპის ინსტრუმენტების შემთხვევაში, დეფოლტი უკვე მოხდა და მუდმივი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასებულია მოსალოდნელი აღდგენების საფუძველზე.

კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად იყენებს ორ მიდგომას-ინდივიდუალური და კოლექტიური მიდგომა. ინდივიდუალური შეფასება ძირითადად გამოიყენება კრედიტ-გაუფასურებისთვის ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მსესხებლებისთვის. დამატებით, კომპანიას შეუძლია არბიტრალურად მიაკუთვნოს არჩეული რისკები ECL ინდივიდუალურ შეფასებას კომპანიის საკრედიტო რისკის ხელმძღვანელობას საფუძველზე ან დამზღვევი დეპარტამენტების გადაწყვეტილების საფუძველზე.

კომპანია იყენებს დისკონტირებული ფულადი სახსრების ნაკადების (DCF) მეთოდს ამოღებადი თანხების განსასაზღვრად ინდივიდუალური შეფასებისას. იმისათვის, რომ ამოღებადი თანხების შეფასება იყოს დანამდივლებით ზუსტი, კომპანიამ შეიძლება გამოიყენოს სცენარის ანალიზის მიდგომა. სცენარები შეიძლება განისაზღვროს ინდივიდუალური მსესხებლის სამომავლო პერსპექტივების მახასიათებლების გათვალისწინებით, მსესხებლის საოპერაციო სექტორის, მისი საგირავნო უზრუნველყოფის ცვლილების გათვალისწინებით. სცენარის ანალიზის შემთხვევაში კომპანია პროგნოზირებს ამოღებად თანხას ყველა სცენარისთვის და აფასებს შესაბამის ზარალს. საბოლოო ECL გამოითვლება, როგორც ყოველი სცენარისთვის მოსალოდნელი ზარალის შეწონილი საშუალო, რომელიც შეწონილია სცენარის მოხდენის ალბათობით.

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები. ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც შემდგომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, გარდა (i) რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა: ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემდგომის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

კომპანიის, როგორც მოიჯარის მიერ იჯარის აღრიცხვა . კომპანიის იჯარა აღიარდება როგორც აქტივი გამოყენების უფლებით და შესაბამისი ვალდებულება იმავე თარიღით, რომლითაც იჯარით გაცემული აქტივი მზადაა კომპანიის მიერ გამოსაყენებლად. ყოველი იჯარის გადახდა გადანაწილება ვალდებულებასა და ფინანსურ ხარჯებს შორის, ფინანსური ხარჯი დაირიცხება მოგება-ზარალზე იჯარის პერიოდის განმავლობაში. აქტივი გამოყენების უფლებით აღიარდება თვითღირებულებით და ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის საფუძველზე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესი დროის განმავლობაში.

ჰეჯირების აღრიცხვა. კომპანია იყენებს ფულადი ნაკადების ჰეჯირების აღრიცხვას. ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ცვალებადობის ჰეჯირება შეიძლება მიეკუთვნოს კონკრეტულ რისკს, რომელიც დაკავშირებულია მთლიან აღიარებულ აქტივთან ან ვალდებულებასთან, ან მაღალი ალბათობით მოსალოდნელ პროგნოზირებულ გარიგებასთან, არა საბალანსო უწყისის არ აღიარებულ მტკიცე ვალდებულებებთან ან მაღალი ალბათობის საპროგნოზო გარიგებასთან და რომელსაც შეუძლია გავლენის მოხდენა მოგებაზე ან ზარალზე.

ჰეჯირების აღრიცხვის მიზნებისთვის ლიზინგის აქტივის შესყიდვის მტკიცე ვალდებულება და ფინანსურ ლიზინგში წმინდა ინვესტიციის მტკიცე ვალდებულება წარმოადგენს ჰეჯირებულ მუხლებს. სვოპ ხელშეკრულებები, ფორვარდული ხელშეკრულებები, დეპოზიტით უზრუნველყოფილი სესხი და სესხები ბანკებიდან კომპანიის მიერ გამოიყენება ღია სავალუტო პოზიციის ჰეჯირებისთვის და კლასიფიცირდება, როგორც ჰეჯირების ინსტრუმენტი.

შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებებიდან მისაღები თანხები. შეწყვეტილი კონტრაქტებიდან მისაღები თანხებს კომპანია აღიარებს ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტიდან. ამ მისაღები თანხების აღიარება ხდება იმ ოდენობით, რომელიც უდრის დარიცხული/მიღებული ფინანსური შემოსავლისა და ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის ლიზინგის მიმღების მიერ გადასახდელი ლიზინგის მინიმალური შენატანების დაუფარავი ნაწილის ჯამს. მისაღები თანხების ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებისა და შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სხვაობის სახით.

შეწყვეტილი ლიზინგის ხელშეკრულებების საფუძველზე დასაკუთრებული აქტივები. ლიზინგის ხელშეკრულებების შეწყვეტის შედეგად დაბრუნებული აქტივები ითვლება ისეთ აქტივებად, რომელთა გაყიდვა თუ ლიზინგით გადაცემა ხელახლა არის შესაძლებელი. თუ აქტივების გადაცემა საოპერაციო ლიზინგის წესით ხდება, ლიზინგის შენატანებიდან მისაღები თანხები აღიარებულია, როგორც ლიზინგის ვადის განმავლობაში მისაღები საიჯარო შემოსავლის წრფივი მეთოდით შემცირება. საწყის ეტაპზე, ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღისათვის, შეწყვეტილი ხელშეკრულებებიდან მიღებული აქტივების აღიარება რეალური ღირებულებით ხდება, ხოლო შემდგომ ხელახლა ფასდება ღირებულებისა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულების შედარებით მიღებული უმცირესი ოდენობით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ის მუხლებია, რომელიც მზადაა კონვერტირდეს ცნობილ ფულად სახსრებში, რომელიც ექვემდებარება ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ასახება ამორტიზებული ღირებულებით, რადგან: (i) ისინი ფლობილია სახელშეკრულებო და იმ ფულადი ნაკადის მიღებისთვის, რომელიც მხოლოდ ძირითადი და პროცენტის თანხების გადახდას (“SPPI”) წარმოადგენს, და (ii) მათ მინიჭებული არა აქვთ რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებულის კატეგორია.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით შემდეგნაირად: ღირებულებას აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ცვეთა. მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების ნარჩენი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, გარდა ლიზინგით გაცემული საოპერაციო იჯარას დაქვემდებარებული ავტომობილებისა, რომელიც იყენებს წრფივ მეთოდს. დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადები მოცემულია ქვემოთ:

	წლები	
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	5	
ავტომობილები საოპერაციო ლიზინგის ფარგლებში გაცემული ავტომობილები	5	
ავეჯი და მოწყობილობები	5	
საიჯარო გაუმჯობესებები	6.5	
აქტივები გამოყენების უფლებით		3

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს შეზღუდული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვთ და ძირითადად მოიცავს კაპიტალიზებულ კომპიუტერულ პროგრამებს და ლიცენზიებს.

არამატერიალური აქტივების ამორტიზება წრფივი მეთოდის გამოყენებით ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

	წლები:
ლიზინგის ERP პროგრამა	10
სხვა არამატერიალური აქტივები	5-7

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონებას კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან იმ კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად და რომელიც არ არის კომპანიის მიერ დაკავებული. საინვესტიციო ქონების აღიარება თავდაპირველად ხდება მისი ღირებულებით (ამაში შედის ტრანზაქციის ხარჯებიც) და შემდგომ, ხდება მისი ხელახალი შეფასება რეალური ღირებულებით, რომელიც თავის მხრივ საბაზრო პირობების გათვალისწინებით კორექტირდება ანგარიშგების პერიოდის ბოლოს.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომლის სანაცვლოდაც შესაძლებელია მისი გაცვლა ინფორმირებულ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგებების ფარგლებში.

სესხები ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან. ბანკებიდან მიღებული სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით. შესაბამისად, გადასახდელი თანხები ამორტიზებული ღირებულებით გატარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად.

სუბორდინირებული სესხები. სუბორდინირებული სესხები მოიცავს გრძელვადიან საბანკო სესხებს და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის შესაბამისად. სუბორდინირებული სესხების დაფარვა ნაკლებად პრიორიტეტულია ყველა სხვა კრედიტორთან შედარებით ლიკვიდაციის შემთხვევაში.

გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები კომპანიის მიერ გამოშვებული ობლიგაციებია. მათი ასახვა ამორტიზებული ღირებულებით ხდება.

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით აღირიცხება. ვალუტის გაცვლის მიზნით კომპანია კონტრაქტ ბანკებთან ახორციელებს ანაზრების ჩათვლას. ამგვარი ანაზრები, თუმცა სამართლებრივად განცალკევებულია, აგრეგირებულია და ერთ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტად აღირიცხება (სავალუტო სვოპი) ნეტოს საფუძველზე, როდესაც (i) ანაზრები ფორმდება ერთსა და იმავე დროს და ერთმანეთის გათვალისწინებით, (ii) მათი კონტრაქტი ერთი და იგივე მხარეა, (iii) ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე რისკთან, და (iv) არ არსებობს ცალსახა ბიზნეს მიზანი იმისათვის, რომ ეს ოპერაციები ცალ-ცალკე იყოს სტრუქტურირებული, რადგან მიზნის მიღწევა ერთი ოპერაციის ფარგლებშიც არის შესაძლებელი. ყველა წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტი აქტივებად აღირიცხება, თუ რეალური ღირებულება დადებითია, ხოლო ვალდებულებებად - თუ უარყოფითი. ცვლილებები წარმოებული ინსტრუმენტების რეალურ ღირებულებაში შედის მოგებაში ან ზარალში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში დენომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ქართულ ლარში საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სპოტ კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები იმ გავრცელებული სავალუტო კურსის მიხედვით აისახება, რომელიც ოპერაციის თარიღზე ფიქსირდება. კურსების გადაყვანის შედეგად მიღებული მოგება და ზარალი კი შევა უცხოური ვალუტის გაცვლითი ოპერაციების შედეგად მიღებულ წმინდა ნამეტ შემოსავალში.

2020 წლის 30 ივნისის მდგომარეობით, დასრულებული გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულ იქნა უცხოური ვალუტის ბალანსების კონვერტაციისთვის შემდეგნაირად დაფიქსირდა: 1 აშშ დოლარი = 3.0552 1 ევრო = GEL 3.4466

სალიზინგო აქტივების მართვის პოლიტიკა

კომპანია განსაზღვრავს დაფინანსებად აქტივებს აქტივის ტიპის, წლოვანების, ტექნიკური მდგომარეობის ან/და სხვა შესაძლო მნიშვნელოვანი კრიტერიუმების მიხედვით.


ლიზინგის დაფინანსებამდე ხდება ყველა აქტივის მონიტორინგი (საქართველოს ეკონომიკურ ტერიტორიაზე არსებობის შემთხვევაში) და შეფასება - საბაზრო ღირებულების დადგენა, რისი გათვალისწინებითაც ხდება დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღება. შეფასება ხდება დისტანციურად, მას შემდეგ რაც აქტივს ჩაუტარდება მონიტორინგი ადგილზე ვიზიტით. მონიტორინგის თანამშრომელი აწვდის ინფორმაციას კომპანიის შიდა შემფასებელს, რომელიც მონიტორინგის აქტის საფუძველზე ახდენს შეფასებას.


დაფინანსებულ აქტივს უტარდება გეგმიური ტექნიკური ინსპექტირება კომპანიის შიდა პროცედურით აქტივის ტიპის მიხედვით განსაზღვრული პერიოდულობით 6 თვეში ან წელიწადში ერთხელ.

აქტივის შესახებ ინფორმაცია რეგისტრირდება კომპანიის საოპერაციო სისტემაში და თან ერთვის განხორციელებული მონიტორინგის ფოტოსურათები, მონიტორინგის და შეფასების დასკვნები.

ყველა აქტივი იზღვევა აქტივის ტიპის მიხედვით განსაზღვრული დაფარული რისკების შესაბამისად კომპანიის ან ლიზინგის მიმღების მიერ.

ლიზინგის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად ჩამორთმეული აქტივები თავსდება თიბისი ლიზინგის საწყობში, უტარდება ტექნიკური ინსპექტირება/მონიტორინგი, დგინდება საბაზრო ღირებულება და მზადდება სარეალიზაციოდ.


ადმინისტრაციული დირექტორი
გაიოზ გოგუა


ფინანსური დირექტორი
ნუგზარ ლოლაძე

2020 წლის 13 აგვისტო